სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/62

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2021

სტუ-ში სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 აპრილის №751 განკარგულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №01-05-04/212 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 დეკემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. „სტუ-ში სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/49 დადგენილების 1.2 და 1.3. ქვეპუნქტებით განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობა სტატუსშეჩერებული პირების მიმართ ამოქმედდეს 2022/2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**